



## საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

№2551 2020 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებს მიეცეთ უფლება, ამავე კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყონ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების (CPV კოდები: 45100000, 45200000, 45300000 და 45400000) სახელმწიფო შესყიდვა, ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებს მიეცეთ უფლება, ამავე კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყონ იმ სამშენებლო სამუშაოების (CPV კოდები: 45100000, 45200000, 45300000 და 45400000) სახელმწიფო შესყიდვა, ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, რომელთა ღირებულება აღემატება 200 000 (ორასი ათასი) ლარს და რომელთა სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი არ შედგა ან დასრულდა უარყოფითი შედეგით.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებს მიეცეთ უფლება, ამავე კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყონ იმ საპროექტო მომსახურების (CPV კოდები: 71200000 და 71300000) სახელმწიფო შესყიდვა, ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, რომლის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი არ შედგა ან დასრულდა უარყოფითი შედეგით.

პრემიერ-მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი გახარია